# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 15 სექტემბერი 2007 №213 (3136) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი ყური და სამი თვალი საქართველოსკენ: ჩვენ ვიღებთ გამოწვევას!

## დამჭკნარი ვარდები ქურციკების ჩლიქებში

ირლანდიელ შუამარბ ბრაიან ოდრისკოლს სამშობლოში „ღმერთს“ უწოდებენ. „ღმერთმა“ გუშინ თქვა, ქართველებს უსაშველოდ ძლიერი მორკინალები ჰყავთო. ხოლო ირლანდიელთა მწვრთნელმა ედი ოსალავანმა ადრევე გადაწყვიტა, ქართველ „ლელოებს“ უძლიერესი შემადგენლობა შეარკინოს — იმაზე ძლიერი, პირველ ტურში ნამიბიასთან რომ ჰყავდა.

ეს დაფასებაა, დაფასებაც და გამოწვევაც!

და მთავარიც, ჩვენ ამ გამოწვევას ვიღებთ!

დღეს ჩვენი მორაგბეები ირლანდიელ „სამყურებს“ შესუსტებული შემადგენლობით ეთამაშებიან, რაკილა, ნამიბიასთან ვეშურებით პირველ და მაშასადამე, ისტორიულ გამარჯვებას მსოფლიოს თასზე. მაგრამ ისიც ხომ ნამდვილად ვიცით, რომ რაგინდარა შემადგენლობით ჩვენი გუნდი ღირსებას არ შეილახავს.

ღირსება ჩვენი „ლელოების“ ეროვნული თვისებაა!

გუშინ კი ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთ უმთავრეს ჯახში სამხრეთ აფრიკამ ინგლისი 36:0 გაანადგურა და პრაქტიკულად ჯგუფის სეფეგუნდობა დაიბევა.

ამით მსოფლიოს ჩემპიონი „ვარდების“ გადამჯეგავი აფრიკელი „ქურციკები“ პლეი ოფში ასცდებიან მძლავრ ავსტრალიას და გაცილებით იოლ მეტოქეს, ალბათ უელსს, შეხვდებიან.




საქართველოს ნაკრების ბოლო ვარჯიში ირლანდიასთან მატჩამდე

# მსოფლიოს ბრინჯაო რიოდან პეკინამდე



ქართველი ძიუდოისტებიდან ოლიმპიური ლიცენზია პირველმა ლაშა გუჯეჯიანმა (მარჯვნივ) მოიპოვა

## პირველი ქართული დღე ბრაზილიაში: მესამეადგილოსანი ლაშა გუჯეჯიანს მეხუთეადგილოსანი ლომერ ჩორჩოლიანი დაემგზავრა

# სენსაციური: ვინ სად იყო მგელი



აზერბაიჯან — საქართველოს მატჩში მალხაზ ასათიანმა ერთხელ დაუშვა უხეში შეცდომა, დანარჩენ შემთხვევებში კი ის ჩვეული „ასკა" იყო — დაცვაშიც კარგად იდგა და დროდადრო შეტევისთვისაც იცლიდა. აზერბაიჯანულმა გაზეთმა „აზერისპორტმა" ნამატჩევს მალხაზს ინტერვიუ ჩამოართვა...



# აზერბაიჯანელებმა ასათიანს აზერბაიჯანული კლუბი უხსენეს

— ფრემ გაწბილებული არ დაგტოვათ?

— რა გაწბილებული, ხუმრობთ? ეს ხომ კავკასიური დერბია. თანაბარი თამაში იყო და შედეგიც ლოგიკურია.

— თქვენი აზრით, კარგი თამაში იყო?

— კი. აზერბაიჯანი კარგად გამოიყურებოდა. მატჩს ორ ნაწილად დავყოფდი: პირველ ტაიმში თქვენს ნაკრებს უფრო ჰქონდა გასატანები, მეორეში კი — ჩვენ.

— და მაინც, ამ მატჩიდან გამომდინარე ძნელია ორივე გუნდის რეალური დონის შეფასება...

— არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ახლა რომ ვთქვა, საქართველო უძლიერესი შემადგენლობით ფრეს ითამაშებდა აზერბაიჯანთან-მეთქი, თავს მოვიტყუებ. ისე, აზერბაიჯანულ ფეხბურთს პროგრესი ეტყობა, თუმც საქართველოშიც ასეა. თანაც, ბაქოში ძნელია თამაში, თქვენმა გულშემატკივრებმა მაგარი მხარდაჭერა იციან.

— კლაუს ტოპმიოლერი კმაყოფილი დარჩა?

— კი. მან ნაკრების უახლოესი რეზერვი შეამოწმა, რაც ამ მატჩში მთავარი ამოცანა იყო.

— რომელიმე აზერბაიჯანელი ფეხბურთელი წარმოგიდგენიათ მოსკოვის „ლოკომოტივში"?

— რატომაც არა?! ნებისმიერი ფეხბურთელი ნებისმიერ გუნდში გაიხსნება, თუკი პროფესიონალურად მიუდგება საქმეს. საერთოდ, გამართლებაც დიდ როლს თამაშობს.

— ბაქოში გასეირნება თუ მოასწარით?

— მხოლოდ სასტუმროსთან მიმდებარე პარკში. სამწუხაროდ, საამისო დრო არ იყო. შემდეგში კი ვნახოთ...

— იმას გულისხმობთ, რომ შესაძლოა, როდესმე აზერბაიჯანულ კლუბში ითამაშოთ?

— ვგულისხმობ ამ ლამაზ ქალაქში კიდევ ერთხელ ჩამოსვლას.

# თეთრაძემ ინფარქტი გადაიტანა!

**მახაჩყალის** „ანჟის" მთავარი მწვრთნელი, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ომარ თეთრაძე საავადმყოფოშია. ექიმებმა მას ინფარქტის დიაგნოზი დაუსვეს.

როგორც შევიტყვეთ, საბედნიეროდ, მდგომარეობა კრიტიკული არ არის, თუმც ექიმები გადაჭრით ვერ ამბობენ, როდის დაუბრუნდება სამწვრთნელო საქმიანობას თეთრაძე.

# ასეთ წაგებას არ ვიმსახურებდით

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა 7 და 11 სექტემბერს ევროშესარჩევი ციკლის ორი მატჩი ითამაშა და ყაზახეთს თუ 2:1 მოუგო, ესპანეთთან სტუმრად 0:4 განადგურდა. ქართველთა მწვრთნელი პეტარ სეგრტი ესპანური თამაშის შემდეგ გერმანიაში ჩავიდა, იქ სავიზო პრობლემების გამო დარჩა და სექტემბრის მიწურულს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს გაჰყვება ბულგარეთში, სადაც ამავე ევროშესარჩევი ეტაპის მატჩებია. ყაზახეთ-ესპანეთთან შეხვედრებზე სეგრტის თანაშემწეს, გელა შეყილაძეს ვესაუბრეთ...



— ესპანელებმა კი გვაჯობეს, მაგრამ როგორი ანგარიშითაც მოგვიგეს, ამას არ ვიმსახურებდით. გატანის შანსები ჩვენებსაც ჰქონდათ, მაგრამ მერებაშვილმა და გოცირიძემ ვერ გამოიყენეს. ესპანელებმა თბილისურ შემადგენლობასთან შედარებით უკეთესი გუნდი შეკრიბეს. სამი კაცი დაიმატეს და ერთ-ერთი მათგანი, კაპელი უდავოდ საუკეთესო იყო.

— გოლები როგორ გაიტანეს?

— კუთხური ჩააწოდეს, რომელიც მოვიგერიეთ, მაგრამ შემდეგ ვერ დავაზღვიეთ და რიკოშეტით გაგვიტანეს. მეორე გოლი პირველი ნახევრის დამატებულ მეორე წუთზე შეაგდეს — ჩვენთვის გაუგებარია, რატომ დაამატა მსაჯმა დრო, როცა თამაში საერთოდ არ გაჩერებულა. ისე, გოლი ცენტრში დაკარგულ ბურთს მოჰყვა, გურამ კაშიამ ერთ-ერთი ესპანელი საჯარიმოში მოცელა და პენალტიდან გაგვიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ ორი ბურთით ვაგებდით, ბიჭებმა ყურები არ ჩამოყარეს და მეორე ტაიმი შემართებით დაიწყეს. დასაწყისშივე ბექა გოცირიძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, ესპანელთა გოლკიპერმა მოცელა. მსაჯმაც ისეთი იმიტაცია გააკეთა, რომ პენალტს დებდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და თამაში გააგრძელეთო, ხელით აჩვენა. ასპროცენტიანი პენალტი იყო და მეკარეც უნდა გაეგდო... მესამე გოლიც კომიკური იყო. გვიტევდნენ და დავჯარიმდით, მაგრამ მსაჯმა არ გააჩერა, რადგან ესპანელები ხელსაყრელ პოზიციაში იყვნენ. ეს შეტევა კი მოვიგერიეთ, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, ამის შემდეგ დადო საჯარიმო, რომელიც გაგვიტანეს. მეოთხე გოლი კი ელემენტარული შეცდომის შემდეგ გავუშვით.

— **ესპანელებთან მატჩამდე ყაზახებს 2:1 მოუგეთ — რამდენად დაგაკმაყოფილათ თამაშის ხარისხმა?**

— შედეგზე ვიყავით ორიენტირებულნი და გავიმარჯვეთ კიდეც. წავიდა ის დრო, კარგად ვითამაშეთ და წავაგეთო. ფეხბურთელებს რა დავალებაც მივეცით, შეასრულეს. ყაზახებს სულაც არ ჰყავთ ხელწამოსაკრავი გუნდი.

— დარჩენილ შეხვედრებში რას უნდა ველოდოთ?

— მეორე ადგილზე გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ორი მატჩი გვაქვს რუსეთთან, პოლონეთს შინ ვილებთ, 16 ოქტომბერს კი ყაზახეთში გავდივართ. ყველა შეხვედრაში მაქსიმუმის მიღწევას ვეცდებით.

— **საქართველოს ნაკრების მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერმა თუ გააგრძელა მუშაობა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პეტარ სეგრტიც აქ იქნება?**

— რა თქმა უნდა. ერთს ვიტყვი: პეტარ სეგრტი დიდ სამუშაოს ასრულებს და მისი აქ დარჩენა ჩვენს ფეხბურთს ბევრ სიკეთეს მოუტანს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ჯერ პორტუგალია, მერე ბულგარეთი

## ცანკერმა საქართველო შეკრიბა და წაიყვანა

**ხვალ** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები თბილისი-მიუნხენი-ლისაბონის ავიარეისით პორტუგალიაში გაემგზავრება, სადაც ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. 21 სექტემბერს კი ბულგარეთს ეწვევა, სადაც ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ჰერბერტ ცანკერის გუნდი პორტუგალიის 17-წლამდელთა ნაკრებთან 18 და 20 სექტემბერს ითამაშებს. პირველი მატჩი ლისაბონიდან 60 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ კარტაშოში გაიმართება, მეორე კი — სანტარემში, სადაც დაბინავდება კიდეც ჩვენი გუნდი.

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებს ქართველები ასეთი თანმიმდევრობით ჩაატარებს: 24 სექტემბერს ხორვატიასთან, 26 სექტემბერს უნგრეთთან, 29-ში კი მასპინძლებთან.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც პორტუგალია-ბულგარეთში გაემგზავრებიან.

***მეკარეები:*** *1. დავით მეფარიძე (ვაგრა, 04.01.1991), 12. თორნიკე ნიორაძე (დინამო, 15.06.1991);*

***მცველები:*** *2. დათა რიგვავა (ოლიმპი, 02.10.1991), 3. ბაქარ მირცხულავა (ტორპედო, 24.05.1992), 4. თორნიკე კაკუშაძე (დინამო, 02.01.1991), 5. დიმიტრი პაჭკორია (ოლიმპი, 07.12.1991), 6. ზვიად რობაქიძე (ოლიმპიკი, 21.06.1991);*

***ნახევარმცველები:*** *7. ნიკა ძალამიძე (ბაია, 06.01.1992), 8. ლუკა გუგუჩია (ოლიმპი, 10.12.1991), 9. ნიკა შონია (ოლიმპი, 14.10.1991), 13. გიორგი გორდეზიანი (ოლიმპი, 02.05.1991), 14. გიგა მელიქიშვილი (კახეთი, 10.02.1991), ჯანო ანანიძე (დინამო, უკრაინა, 10.10.1992), 17. გიორგი გურეშიძე (ოლიმპი, 21.01.1991), 18. ერეკლე კაჭახიძე (ლოკომოტივი, 19.01.1991);*

***თავდამსხმელები:*** *10. ირაკლი შეყილაძე (ბაია, 17.09.1992), 11. ლევა მუმლაძე (ოლიმპი, 16.03.1991), 15. დავით რაფავა (ბაია, 10.10.1991)*

**კახა ზალამბერიძე**

## ინგლისი

I ლიგა. VI ტური

როვერსი 0:3 ლიდსი
სუონსი 2:1 კარლაილი
ტრანმერი 2:1 ლუტონი

კონფერენსლიგა. IX ტური

ტორკი 3:1 ჰალიფაქსი

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXVI ტური

კორკი 3:2 ლონგფორდი
დროჰედა 1:0 დერი
სტ. პატრიკსი 4:2 ბრეი
უოტერფორდი 0:0 ბოჰემიანსი
შემროკი 4:0 გალვეი

## ხორვატია

NHL. VIII ტური

ინტერი 3:0 მედიმურიე

## რუმინეთი

I ლიგა. VII ტური

გლორია 0:0 უნირეა

## უკრაინა

ვიშა ლიგა. IX ტური

ხარკოვი 1:0 ნაფტოვიკი

## ავსტრია

I დივიზიონი. X ტური

გრატკორნი 1:1 ლუშტენაუ
აუსტრია (ლ) 1:1 აუსტრია (მ)
ზალცბურგი (მ) 2:2 პარნდორფი
აუზე 1:2 შვადორფი
ლეობენი 4:0 კერნტენი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. VIII ტური

დებრეცენი 2:0 ვაშაში

## ბულგარეთი

ვიშა ლიგა. V ტური

ლოკომოტივი 4:0 ჩერნომორეცი
სპარტაკი 0:0 ლიტექსი

## პოლონეთი

I ლიგა. VII ტური

გურნიკი 4:0 პოლონია
ლეგია 3:1 ვიძევი

## გერმანია

ბუნდესლიგა. V ტური

დორტმუნდი 3:0 ვერდერი

II ბუნდესლიგა. V ტური

კარლ ცაისი 1:2 კობლენცი
ლაუტერნი 0:0 პადერბორნი
ზანქტ პაული 3:1 ოფენბახი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა IX ტური

ვერდერი (მ) 1:1 ბრაუნშვაიგი

სამხრეთ რეგიონალლიგა VIII ტური

ინგოლშტადტი 3:0 ჰესენი
პფულენდორფი 0:0 ზიგენი
კიკერსი 1:2 სანდჰაუზენი

## პორტუგალია

სუპერლიგა. IV ტური

სეტუბალი 3:1 ბრაგა

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. IV ტური

გრონინგენი 0:2 უტრეხტი

II დივიზიონი. VII ტური

კამბური 2:2 როზენდალი
ემენი 0:0 ალმერე
დორდრეხტი 5:0 დენ ჰააგი
ვოლენდამი 5:1 იგლსი
ზვოლე 3:1 ვეენდამი
სიტარდი 5:2 აპელდორნი
ჰაარლემი 3:1 ეინდჰოვენი
ჰელმონდი 0:1 დენ ბოსხი
ვალვაიკი 1:0 მაასტრიხტი
ოსი 1:0 ტელსტარი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. VII ტური

აიაჩო 1:0 ამიენი
ბულონი 1:3 შატორუ
გენიონი 1:1 კლერმონი
გენგამი 0:2 მონპელიე
ლიბურნი 2:4 ბასტია
ნიორი 0:1 ანჟერი
ტრუა 4:2 რეიმსი
დიჟონი 2:3 ლე ავრი
გრენობლი 3:1 ბრესტი

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 5 ტური

# პისკოვეცს ცენტრი არ მოეწონა

რუსთავი. 14 სექტემბერი. 16 საათი. ფოლადი. 800 მაყურებელი

## ოლიმპი 0:0 მესხეთი

| ოლიმპი | მესხეთი |
|---|---|
| ოლიმპი: მ. ალავიძე, ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, ნავალოვსკი (დევდარიანი 46), გეწაძე, დვალიშვილი (მ. მესხი 89), ქებაძე, ჟივკოვიჩი (კახელიშვილი 46), რ. ჯიქია, მასუანგა. სათადარიგონი: გ. კობახიძე, ჩივაძე, კოშკაძე, მგელაძე. მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი | მესხეთი: სომხიშვილი, აკოფიანი (კობესაშვილი 58), გ. ნადირაშვილი, ჟვანია, ლეკიშვილი, გ. თურმანიძე, ზ. ჩხეტიანი (მ. თავაძე 81), ძამსაშვილი, გვირჯიშვილი, ინასარიძე (კველიშვილი 87), კაიდარაშვილი. სათადარიგონი: ბაბუნაშვილი; გ. სუდაძე, რუსია, მ. ლონდაძე. მწვრთნელი: კობა თედიაშვილი |

გაფრთხილება: სილაგაძე (49), ჩხეტიანი (53), ჟვანია (59), ნადირაშვილი (70), ჯიქია (70), სომხიშვილი (84)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ერქვანია, ი. ურუშაძე

**მიხეილ ჭორჭოლიანი რუსთავიდან**

**ეგეც** თქვენი დებიუტანტი: „მესხეთმა" საქართველოს მოქმედ ჩემპიონ „ოლიმპს" მისსავე მოედანზე ქულები აართვა და დროებით მეორე ადგილზე მოკალათდა. დროებით იმიტომ, რომ დღეს კიდევ სამი მატჩია და მესხების გადასწრება „დინამოს" შეუძლია.

ახალციხელები პირველ ტაიმში ფრთხილად თამაშობდნენ. „მესხეთს" ეტყობოდა, ქულითაც კმაყოფილი იქნებოდა, თუმც შიგადაშიგ არც კონტრშეტევებს ერიდებოდა, მაგრამ. კარგად გათამაშებულ ბურთს საჯარიმოს სიახლოვეს უაზროდ კარგავდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში კარში არ დაურტყამთ.

ანატოლი პისკოვეცმა კი საკვირველი ტაქტიკა აირჩია: რევაზ გეწაძე მარჯვენიდან უტევდა, ვლადიმერ დვალიშვილი კი ნახევარდაცვაში ხან საყრდენად იყო, ხანაც გამთამაშებლად.

გათამაშების რა მოგახსენოთ, რუსთაველებს სახარბიელო არაფერი შეუქმნიათ. ერთადერთი სახიფათო მომენტი 81-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც ბოდრი მასუანგა ნახევარბრუნში ურტყამდა და ოდნავ აცილა — მეტი საგოლე მომენტი ჩემპიონს არ ჰქონია.

პირველ ტაიმში „ოლიმპი" მასპინძლის წილ უპირატესობას ფლობდა და ორი ნახევრადმომენტი შექმნა: ჯერ გეწაძემ, შემდეგ კი ლაშა ქებაძემ დაარტყეს კარში, მაგრამ გიორგი სომხიშვილს მათი აღება არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმში მესხებმა მთელი გუნდით დაიხიეს და ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ, რაც ძალიან კარგად გამოუვიდათ. განსაკუთრებით თავგამოდებით ზურაბ ძამსაშვილი თამაშობდა, რომელმაც შარშან „ოლიმპში" ოქროს მედალი მიიღო.

რუსთაველებმა კი ზემოთ ნახსენებ მასუანგას მომენტს, მხოლოდ გეწაძის ჯარიმა მიუმატეს.

ერთიც: თუ თამაში თანაბარი იყო, გულშემატკივრობა „მესხეთმა" მოიგო. ახალციხიდან ჩამოსული ათიოდე გულშემატკივარი ომახიანად და შიგადაშიგ მსაჯისადმი ბილწსიტყვაობით აშკარად „ჯაბნიდნენ" მასპინძლებს. ბილწსიტყვაობისთვის შენიშვნაც მიიღეს, რასაც მცირე კამათი მოჰყვა.

კამათი მოხდა მოედანზეც: გიორგი ნადირაშვილი და რევაზ ჯიქია ერთ ეპიზოდში წაკამათდნენ და ფანიაშვილისგან ყვითლებიც მიიღეს.

### პრესკონფერენცია

კობა თედიაშვილი: ვიცოდით, რომ ურთულესი თამაში იქნებოდა, ბოლო-ბოლო ჩემპიონ გუნდს ვეთამაშებოდით. სიმართლე გითხრათ, სამი ქულის აღება გეგმაშიც არ გვქონია, ფრეზეც ყაბულს ვიყავით და სასიამოვნოა, რომ შინ ქულით მივდივართ. ბიჭებმა ყველა დავალება კარგად შეასრულეს. „ოლიმპს" კი წარმატებებს ვუსურვებ დარჩენილ მატჩებში.

ანატოლი პისკოვეცი: ვგრძნობდით, რომ მეტოქე მასიური დაცვით ითამაშებდა და ამისთვის მზად ვიყავით. სამწუხაროდ, ამ დაცვის გასარღვევად ოსტატობა არ გვეყო, ფეხბურთელები ცენტრში ჩაკიდებული ბურთებით ცდილობდნენ დაცვის გატეხვას. როდესაც ფლანგებიდან უტევდნენ, მეტი სიმწვავე იქმნებოდა, რასაც იშვიათად მიმართავდნენ. სამუშაო ბევრია...

# ბოლნისური სიხარული: მავთულლობეზე და იმის იქით

**ნუკრი ლოლაძე ბოლნისიდან**

**ბოლნისში** ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერად ჩასულ „ვიტ ჯორჯიას" „სიონმა" ცივი წყალი გადაასხა და მოულოდნელი მარცხი აჭამა.

ნოდარ აკობიას წასვლის შემდეგ ბოლნისელებს შინაურ კედლებში პირველად უთავკაცა გიორგი ყიფშიძემ და პირველი სამი ქულაც მიითვალა.

არადა, თბილისელებს პირველ წუთზევე შეეძლოთ დაწინაურება: ალექსანდრე კვახაძემ გრძელი გადაცემით ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა ზაზა სახოკია, თუმც მან უხეიროდ დაარტყა. „ვიტ ჯორჯია" მალევე დაისაჯა — კვახაძემ საჯარიმოში ლევან ბაჯელიძე დასცა და ლევან სანიკიძემაც პენალტი უნაკლოდ დაარტყა.

მასპინძლები ანგარიშში წინ დიდხანს არ ყოფილან. თბილისელთაგან საუკეთესო ირაკლი კლიმიაშვილმა კარგად შეაყოლა ბურთი ნიკა გელაშვილს და ანგარიშიც გათანაბრდა — 1:1.

26-ე წუთზე კი იშვიათი სილამაზის გოლი გავიდა. სანიკიძემ მარჯვენა ფრთაზე ადვილად ჩამოიცილა დავით ლომაია და საჯარიმოში ჩააწოდა — თემურ რექვიაშვილმა კი შემობრუნებით დაარტყა და გრიგოლ ბედიაშვილი უსაქმოდ დატოვა. რაქვიაშვილმა სიხარული მავთულლობეზე შეხტომით აღნიშნა და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა.

ორ წუთში ლომაიამ მოედნის ცენტრში ერიკ რომეო ჩასემი მოცელა, ამ დროს წაქცეულ აფრიკელს კვახაძემ ბურთი მოარტყა, რასაც გუნდური საქმის გარჩევა მოჰყვა. საბოლოოდ სიტუაცია კვახაძის ყვითელი ბარათით დაშოშმინდა.

ტაიმის დასრულებამდე ბოლნისელებმა კიდევ ორჯერ შეაწუხეს სტუმრები: ჯერ ჩასემს აულო ბედიაშვილმა, კვიტაიშვილის პასით კი ბაჯელიძემ კარს საკმაო მანძილით აცილა.

ბოლნისელებმა მთელი შეხვედრა შემართებით ჩაატარეს, ყველა გოჯისთვის თავდადებით იბრძოდნენ.

58-ე წუთზე კვიტაიშვილმა მშვენიერი გადაცემით ჩასემი მეკარესთან პირისპირ დატოვა, კამერუნელს ბედიაშვილის მოტყუება და გატანა აღარ გასჭირვებია.

თავისებურადაც იზეიმა აფრიკელმა — მაისურა გაიხადა, მას შიგნით კამერუნის ეროვნული ნაკრების მაისურა ეცვა და ის მაყურებელს უსახსოვრა — ცხადია, ისიც გააფრთხილეს.

მე-60 წუთზე კვახაძემ ჯარიმა დაარტყა, ბურთი რიკოშეტის შემდეგ გიორგი დათუნაიშვილს მიუვიდა, მაგრამ მან ეს შანსი ვერ გამოიყენა, ახლოდან კარს აცილა.

„ვიტ ჯორჯია" უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ „სიონი" თავს კარგად იცავდა.

მატჩის მიწურულს კლიმიაშვილის ჩაწოდების შემდეგ ვასილ ლუჭაშვილმა თავით გიორგი დათუნაიშვილს დაუგდო, მისი დარტყმული კი ძელს მოხვდა.

ბოლნისი. 14 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 500 მაყურებელი

## სიონი 3:1 ვიტ ჯორჯია

1:0 სანიკიძე (3), 1:1 გელაშვილი (9), 2:1 რაქვიაშვილი (26), 3:1 ჩასემი (58)

| სიონი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| სიონი: გ. იაშვილი, ოქროპირიძე, ფრიდოლინი, სვანიძე, რაქვიაშვილი, ქურასბედიანი (მენთეშაშვილი 80), სანიკიძე, ლ. ბაჯელიძე, ნადირაძე, კვიტაიშვილი (ლ. ვაშაკიძე 71), ჩასემი (ქარდავა 85). სათადარიგონი: სტურუა, კვიციანი, ქუთათელაძე, გაგუა. მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, კაიშაური, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, ბექვაია (ლუჭაშვილი 62), სახოკია (ბერიაშვილი 56), გელაშვილი (მელქაძე 62). სათადარიგონი: მიქაბერიძე; ადამაძე, ინჯგია, კიკნაძე. მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (26), ლომაია (27), კვახაძე (27), კლიმიაშვილი (49), ჩასემი (58), ნადირაძე (60), იაშვილი (89), ოქროპირიძე (90)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, დ. სანაია

### პრესკონფერენცია

ნესტორ მუმლაძე: მატჩი საინტერესო გამოდგა. ჩვენ ვიცოდით, რომ რთული თამაში გვექნებოდა. „ვიტ ჯორჯიამ" ისე ვერ ითამაშა, როგორც სჩვევია, „სიონი" კი კარგად გამოიყურებოდა.

გიორგი ყიფშიძე: დღეს „სიონმა" ამ სეზონში საუკეთესო თამაში აჩვენა. არადა, „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია.

# გიორგი ჭელიძის გორული გოლები
## ზესტაფონმა თავი თავში შეინარჩუნა

გორი. 14 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა 1:2 ზესტაფონი

0:1, 0:2 ჭელიძე (15, 75), 1:2 სადალაშვილი (82)

| დილა | ზესტაფონი |
|---|---|
| დილა: თ. ილურიძე, ბალაშვილი, დ. ხანიშვილი, ზ. ლაცაბიძე, კობახიძე, სადალაშვილი, ნ. ნოზაძე (მატაკიშვილი 63), ბ. ჩიტაია, სულთანიშვილი (ტლაშაძე 66), სამადაშვილი (თურმანიძე 79), ბალიაშვილი. სათადარიგონი: კეჩხუაშვილი, მასურაშვილი, კურტანიძე, ი. თავაძე. მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე | ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ს. თოდუა, საჯაია, ლობჯანიძე, რ. ონიანი, კუხანი, ჟონატახი, ვიეირა, ბ. გოცირიძე (იონანიძე 73), გ. ჭელიძე (მ. ლონდაძე 81), ფიფია (ბიტოო 63). სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, ნ. კვასხვაძე, გ. ხიდეშელი, გ. ჩხეტიანი. მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: ხანიშვილი (14), გ. ჭელიძე (19), ბ. ჩიტაია (58), საჯაია (66)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, ზვ. ახკაროლლი

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**მატჩის** საწყისმა ათმა წუთმა საკმაოდ უინტერესოდ ჩაიარა, ბურთი ძირითადად მოედნის შუაგულში ტრიალებდა და არც სახიფათო მომენტები შექმნილა. ანგარიში კი მოულოდნელად გაიხსნა. მე-15 წუთზე გიორგი ჭელიძემ, რომელიც საუკეთესო იყო, „დილას" კარიდან ზურგით მდგომმა მიიღო ბურთი, დაამუშავა და დაახლოებით 25 მეტრიდან შემოტრიალებით, უძლიერესი დარტყმით თავზე გადაატარა კარიდან ოდნავ წინ გამოსულ თამაზ ილურიძეს — 0:1.

გოლმა მეტი თავდაჯერება შესძინა სტუმარ გუნდს და მათი უპირატესობაც გამოიკვეთა.

ორიოდ წუთში როინ ონიანს შეექმნა მომენტი, მაგრამ საჯარიმოს კუთხიდან არაზუსტად დაარტყა. მე-20 წუთზე „დილასაც" ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ნოდარ ნოზაძის საჯარიმო დარტყმა მცირედით აცდა „ზესტაფონის" კარს.

ტაიმის ბოლოსკენ ტემპმა იკლო და სახიფათო მომენტები არც ერთ კართან აღარ შექმნილა. თუმცა ბოლო წუთზე გოგი ფიფიას გარღვევის შემდეგ ილურიძემ იხსნა კარი.

მეორე ნახევარიც სტუმართა უპირატესობით დაიწყო. 54-ე წუთზე „დილას" საჯარიმო მოედნის ხაზთან სახიფათო საჯარიმო დაინიშნა, რომელიც ფიფიამ შეასრულა, მაგრამ კვლავ არაზუსტად.

ტაიმის შუაში „დილამ" შეცვლები განახორციელა, რამაც თითქოს თამაშიც გაათანაბრა. 69-ე წუთზე ბექა ჩიტაიამ კარგად მიიღო ბურთი, „ზესტაფონის" საჯარიმოში შეიჭრა და დაბალ კუთხეში დაარტყა, მაგრამ გრიგოლ ჭანტურია ნახტომში დაეუფლა ბურთს.

მატჩის ბოლო 15 წუთი საინტერესოდ წარიმართა. 75-ე წუთზე სტუმრებმა მეორე გოლი გაიტანეს: ჭელიძემ მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, ოდნავ წინ წაიწია და დაახლოებით 40 მეტრიდან დაარტყა. ბურთი ილურიძის წინ დაეცა, ზემოდან გადაევლო და კარში შევარდა — 0:2.

„დილამ" ერთი გოლის გაქვითვა შეძლო — 82-ე წუთზე დავით ხანიშვილის პასისას სადალაშვილმა თავურით ცხრიანში შეაგდო — 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 13 |
| მესხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 10 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| მგლები | 5 | 3 | 0 | 2 | 4:3 | 9 |
| სიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | 7 |
| ამერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ბორჯომი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| დილა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | 3 |
| ბათუმი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |
| მერანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 5 ტური



თბილისი. 14 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 1 000 მაყურებელი

## ლოკომოტივი 0:1 მგლები

| | |
|---|---|
| 0:1 ქირია (58) | |
| ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ხოხონიშვილი, მალიჩავა (ტიკურიშვილი 76), ლალაძე (დ. ჩაგელიშვილი 66), სამხარაძე, გულორდავა, იმედაძე (კირკიტაძე 60), მიქაძე<br>*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; ა. კობიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი<br>მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | მგლები: ივარდავა, ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე, ქირია, ჯოჯუა, ვართაგავა, ხუბუა (წურწუმია 89), კრასოვსკი (გაბედავა 80), ბაკარანიძე (ლიპარტია 90)<br>*სათადარიგონი:* ჭითანავა; ხუხია, დ. ნარსია, ქომეთიანი<br>მწვრთნელი: ბესიკ შეროზია |
| გაფრთხილება: მალიჩავა (3), მიქაძე (10), ვართაგავა (34), ქირია (60) | |
| გაძევება: მიგინეიშვილი (89) | |
| მსაჯები: მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, ი. უკლება, ა. ნონიკაშვილი | |

# მგლები თბილისსაც შეეჩვივნენ

## ვაკელებს ამერთან მოგებამ აღყინათ?

**ილია ნანობაშვილი**

**ზუგდიდის** „მგლებმა" მონდომება-ჯიგარი ჩააქსოვა და ალალ-უსაყვედურო სამი ქულა მიითვალა. ბესიკ შეროზიას გუნდი ხომ სტუმრადაც არ იქნება ჯაბანი და ვეჭვობთ, შინ ბარე-ორ ლიდერსაც სისხლს გაუშრობს.

მეგრელებს სტუმრისა არაფერი ეტყობოდათ, ტრიბუნებზეც მათი გულშემატკივრები სჭარბობდნენ და, ფაქტობრივად, შინ თამაშობდნენ. აბა, „ლოკომოტივის" ფანების ჯგუფი არასოდეს გვინახავს...

ვერ გეტყვით, წააგებდა თუ არა „ლოკომოტივი", ლევან ყენიას რომ ეთამაშა. ფაქტი ისაა, რომ მის გარეშე ვაკელთა გუნდი, სულ სხვაა, მარილი აკლია და აკი, ვერანაირი შტურმი ვერ შეჰბედა „მგლებს". ყენიას კი ორი ყვითელი ბარათი ჰქონდა და ტრიბუნიდან უყურებდა თავისიანთა სტატისტობას.

მასპინძლები სამი მცველით თამაშობდნენ, ზუგდიდელებმა კი ფრთხილი, გამოკვეთილი ერთფორვარდიანი სქემა აირჩიეს და გაუმართლათ კიდეც. პირველ ტაიმში მხოლოდ ორი საგოლე მომენტი შეიქმნა და ორივე დავით გვარამაძის კართან: მე-7 წუთზე პაატა ბაკარანძემ ხელსაყრელი პოზიციიდან რატომღაც არ დაარტყა, ზედმეტი მოძრაობები დაიწყო და ბევრი არ აცალეს, ტაიმის შუაწელს კი ზურაბ ექონიას წამოწყებული კონტრშეტევის შემდეგ გელა ხუბუას დარტყმულს „ლოკომოტივის" მცველი გადაეფარა. ზუგდიდელები უფრო ბევრს დარბოდნენ, განსაკუთრებით ლევან ვართაგავა, ვლადიმერ ჯოჯუა და გიორგი კრასოვსკი აქტიურობდნენ.

მეორე ნახევარშიც უფრო ცოცხლად სტუმრები იყვნენ, ხშირად მეტოქის ნახევარზევე მიმართავდნენ პრესინგს, ვაკელები კი ვერა და უტევდნენ თავიანთ გემოზე, პასებშიც ხშირად ცდებოდნენ.

58-ე წუთზე „მგლებმა" დამუშავებული საჯარიმო დარტყმით გაიტანა: დავით ქირიამ დაარტყა, ზუგდიდელებმა ბურთი გაატარეს, „ლოკომოტივის" მცველებიც დააბნიეს და გვარამაძემ რეაგირებაც ვერ მოახდინა. იმ გოლს ჰგავდა, შარშან გიორგი დემეტრაძემ რომ შეაგდო უკრაინა — საქართველოს მატჩში.

უხერხული შედარებისკენ კი წავედით, მაგრამ ხომ გახსოვთ, დემეტრაძის მაშინდელ გოლს უკრაინელებმა ნახევარ წუთში უპასუხეს. გუშინაც ასევე იქნებოდა, ლოკომოტიველებს ცარიელ კარში რომ გაეტანათ... რატომ ცარიელში? „მგლების" ფეხბურთელები ერთმანეთს ულოცავდნენ, ვაკელებმა კი ცენტრიდან დაიწყეს, კარშიც დაარტყეს და აცილეს. ამის გამო „მგლები" პროტესტს გამოთქვამდა, მსაჯს მივარდნენ, მაგრამ წესი წესია: ზუგდიდელები თავიანთ ნახევარზე იყვნენ გადმოსულნი, ასე რომ, გოლი რომ გასულიყო, ჩაითვლებოდა...

„ლოკომოტივი" გასატანად კი გაიწია, მაგრამ მეგრელები გოჯს არ თმობდნენ, ისევ ტემპში აგრძელებდნენ თამაშს და ბოლოსკენლა დაიღალნენ, თუმც იმ დროს მასპინძლებს გამოლეული ჰქონდათ არაქათი. და მაინც, ანგარიშს გათანაბრება შეცვლაზე შესულ დავით ჩაგელიშვილს ორჯერ შეეძლო: ჯერ ხუთიოდ მეტრიდან ააცილა, მერე კი მარცხენა ფლანგიდან კარგად მოუქნია, მაგრამ სტუმართა მეკარე მანუჩარ ივარდავამ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

ნერვიული თამაში იყო, ოღონდ ზედმეტი უხეშობის გარეშე, ეგაა, მსაჯმა მამუკა ურუშაძემ ბოლო წუთებზე „ლოკომოტივის" სათადარიგო მეკარე ომარ მიგინეიშვილი გააძევა სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

„მგლებს" სტუმრად მოგებაც სცოდნია, გიორგი კიკნაძის გუნდი კი ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა...

# თამაზ კოსტავა კვლავ მძიმე მდგომარეობაშია



**„ოქროს დინამოს"** ფეხბურთელ თამაზ კოსტავას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

თბილისის „მერანის" მთავარი მწვრთნელი თბილისის „დინამოსთან" თამაშის შემდეგ გახდა ცუდად, ინსულტი დაემართა, შემდეგ ინფაქტიც გადაიტანა და აგერ, 3 სექტემბრიდან მოყოლებული მძიმედ ავადაა.

ჯერჯერობით ექიმები ვერაფერ ნუგეშს იძლევიან, კოსტავას სიცოცხლე, სამწუხაროდ, საფრთხის წინაშეა...

# რევაზ ძოძუაშვილი გაჭირვებაზე, ომზე, ფსიქოლოგიურ სიკვდილზე...



რევაზ ძოძუაშვილი ყოველთვის საინტერესო და საკამათო თემა იყო ქართულ ფეხბურთში.

„მიხიჩა" შარშან რამდენიმეწლიან შესვენების შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს, მისი „ოლიმპი" ჩემპიონი გახდა, მაგრამ მაინც გაუშვეს.

ძოძუაშვილმაც ყაზახეთს მიაშურა და იქაური ჩემპიონატის მესამეადიგლოსან ყარაგანდის „შახტიორს" წვრთნის.

ყაზახურ პრესაში ძოძუაშვილი პოპულარული თემაა, ხშირია მასთან ინტერვიუები და ჩვენც ერთ-ერთ მათგანს შემოკლებით გთავაზობთ.

ინტერვიუ 12 სექტემბრის ყაზახეთ — ბელგიის ევროშესარჩევი მატჩის (2:2) შემდეგაა ჩანერილი...

**— ჯერ თქვენს სამწვრთნელო კარიერაზე ვთქვათ...**

— ფეხბურთელის კარიერის დასრულებისთანავე თბილისის ასკ ჩავიბარე და პირველივე სეზონში გუნდი შეიარაღებული ძალების ჩემპიონი გახდა. ასევე ვწვრთნიდი ჭაბუკთა და ახალგაზრდულ გუნდებს, მერე კი თბილისის „დინამოში", ქუთაისის „ტორპედოში", საქართველოს ნაკრებში ვიმუშავე. თანაც, ყველა ჩემს კლუბს ნებისმიერ ტურნირში, როგორც კი ჩავიბარებდი, მალევე მინიმუმ ხუთი ადგილით ზემოთ ვწევდი. საბჭოეთის დაშლის შემდეგ თბილისის „დინამოში" დავინიშნე, რომელსაც „21-ე საუკუნის გუნდს" უწოდებდნენ. იმ დროს საქართველოში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი იყო, ქვეყანას კრიმინალური სამყარო მართავდა და გუნდი წამართვეს. მერე ვიმუშავე რუსთავულ კლუბში, თასის ფინალში და ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიყვანე.

**— და ლატვიაში როგორ მოხვდით?**

— საქართველოში მატერიალური მდგომარეობა აუტანელი იყო. ისრაელში წავედი მწვრთნელ-მენეჯერად და რამდენიმე ფეხბურთელი წავიყვანე გასინჯვაზე. იქ მენეჯერი მარკ ზახოდინი გავიცანი, რომელიც მანამდე ლატვიურ ფეხბურთში საქმიანობდა. ზახოდინმა ლატვიაში წასვლა მირჩია, იქ ფეხბურთის ფედერაციის და რიგის „სკონტოს" პრეზიდენტად გიუნტის ინდრიქსონი დაინიშნა, რომელსაც დიდი გეგმები აქვსო. სამი ქართველი მოთამაშე წავიყვანე „სკონტოში" და ეს ბიჭები ხუთი წლის განმავლობაში გუნდის ლიდერები იყვნენ. ინდრიქსონმა ჩასვლიდან ერთ წელიწადში მრჩევლის პოსტი შემომთავაზა, მერე კი ლატვიის ნაკრების თავკაცად დამნიშნა. ნახევარ წელიწადში ლატვიურმა ფეხბურთმა შესამჩნევი პროგრესი განიცადა, მე კი საუდის არაბეთიდან მშვენიერ პირობებს მთავაზობდნენ. თუმც დღესაც კი ინდრიქსონის მრჩეველი ვარ და მისი დამსახურებაა, რომ ყარაგანდის „შახტიორში" ლატვიელი მიხაილ მიხოლაპსი გადმოვიყვანეთ.

**— „შახტიორის" პრეზიდენტ გრიგორი ლორიას კარგად იცნობდით?**

— ახლო ურთიერთობა არ მქონია, თუმც რამდენჯერმე შევხვედრივართ. წლეულს ჩვენი გაწვრთნილი „ოლიმპი" საქართველოს ჩემპიონი გახდა, სეზონის ბოლოს კი კონტრაქტი დამიმთავრდა. სხვა ქართული კლუბებიდან წინადადებები მქონდა, მაგრამ მისაღები არც ერთი არ იყო. ამ დროს გრიგორი ლორიამ დამირეკა და, აი, მეც აქ ვარ.

**— ყაზახეთის ჩემპიონატის დონეზე რას იტყვით?**

— ყაზახეთის ნაკრებმა ბელგიასთან ფრე ითამაშა. აქ ჩანს პერსპექტივა, ეს უდავოა. ეგაა, ყაზახებს ბელგიასთან მდევრის კი არა, ლიდერის როლში თამაში შეეძლოთ. საჭიროა, სხვანაირად დაიწყონ თამაში — კი არ უნდა დაითრგუნო, ფსიქოლოგიურად იქით უნდა „მოკლა" მეტოქე. ყაზახეთში ყველა პირობაა საიმისოდ, რათა ფეხბურთმა წინ წაიწიოს, მთავარი კი პროფესიონალიზმია.

# უპასპორტო ჩხუბი

**გაირკვა** დეტალები მუშტი-კრივისა, რომელიც თვითმფრინავში მოხდა. ჩრდილოეთ ირლანდიის დამარცხებული ნაკრები ისლანდიიდან შინ ბრუნდებოდა. კიტ გილესპი სკამებს შუა მიდიოდა, ჯორჯ მაკარტნი კი იჯდა. გილესპიმ, რომელიც „ვესტ ჰემის“ მცველია, „შეფილდ იუნაიტედის“ ნახევარმცველ მაკარტნის რაღაც უთხრა. ერთი ნაბიჯით გასცდა, შემობრუნდა და გაულაწუნა, შეფილდელი კი წამოხტა და ხურდა დაუბრუნა.

მავანმა მგზავრმა თქვა: „სრული ქაოსი იყო. ბიჭებმა რამდენჯერმე მოასწრეს დარტყმა, სანამ გააშველებდნენ“.

დევიდ ჰილიმ, სტიუარტ ელიოტმა და მწვრთნელის თანაშემწემ გლინ სნოდინმა მოკრივეები ძლივს დააშოშმინეს. ამბობენ, რომ ჩხუბი ჯონი ევანსის პასპორტის გამო ატყდა. გილესპიმ და მაკარტნიმ ვერ გაარკვიეს, რომელ მათგანს ჰქონდა ევანსის პასპორტიო, მაგრამ ეს ვერსია ძალიან უცნაურია. ჩრდილოეთ ირლანდიამ ერთი კვირის წინ ლატვიაში ბეირდის ავტოგოლით წააგო, ოთხშაბათს კი კიტ გილესპიმ ბოლო წუთზე საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და ისლანდიასთან დამარცხდნენ. ორ მატჩში გაშვებული სამი გოლი ჯორჯ მაკარტნის ფლანგიდან წამოწყებულ კომბინაციებს მოჰყვა და „სანი“ წერს, რომ გილესპიმ ამიტომ წაუთაქა თანაგუნდელს. ლატვიასთან თამაშის მერე ფეხბურთელებს ვარჯიშზეც უკამათიათ.

ჩრდილოეთ ირლანდიამ შესარჩევი ლოური სანჩესის მწვრთნელობით კარგად დაიწყო, მაგრამ სანჩესი „ფულემში“ წავიდა და გუნდი ნაიჯელ უორტინგტონს დაუტოვა.




ზედიზედ ორმა წაგებულმა მატჩმა ჯგუფიდან გასვლის შანსი ძალიან შეუმცირა და არეულობაც ალბათ ამის ბრალია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბებიაჩემი
## ვითმინე, ვითმინე, და... ბოდიში!

**ირლანდიისა** და „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველმა სტივენ აილენდმა თაღლითობა აღიარა და საქვეყნოდ მოიბოდიშა.

გასულ შაბათს სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ ბიჭი ბრატისლავიდან სამშობლოში გაემგზავრა საპატიო მიზეზით, ბებია გარდამეცვალაო. ამის გამო ოთხშაბათს, 12 ოქტომბერს ჩეხებთან შეხვედრაც გამოტოვა, სინამდვილეში კი...

„ახლა ვხვდები, რომ მივქარე და ძალიან ვნანობ — თქვა აილენდმა — ბრატისლავაში მატჩის მერე მწვრთნელმა სტივ სტონტონმა დამიძახა და მითხრა, რომ ჩემმა გელფრენდმა ჯესიკამ დარეკა და ბებიაჩემის გარდაცვალების ამბავი აცნობა, უმალ ხასიათი წამიხდა, რადგან დედაჩემის დედაზე ვიფიქრე, ვინაც გამზარდა. სტონტონმა გასახდელიდან ჩემი ტელეფონი გამომიტანა და ჯესიკას დავურეკე, რომელსაც ბებია არ უხსენებია და მითხრა, დეპრესიაშივარ მარტოობისგანო და, რაც შეიძლება, მალე ჩამოდიო. გარდაცვალების ამბავიც ამიტომ მოიგონა, რომ იფიქრა, მალე გამოუშვებენო. მეც ვიცრუე და მწვრთნელს გათავისუფლება ვთხოვე. იმ საღამოსვე თვითმფრინავით ირლანდიაში ჩავედი. ხუთი დღე ვითმინე, მაგრამ ვერ მოვისვენე და სიმართლის თქმა გადავწყვიტე. ბოდიშს ვუხდი ყველას უგუნური საქციელისთვის“ — თქვა „ბებიამკვლელმა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პლატინიმ ოპოზიციას ოქტომბერი უთხრა

G14 მიშელ პლატინის მხარს არ დაუჭერს — ამის შესახებ თოთხმეტელთა გენერალურმა მენეჯერმა ტომას კურტმა განაცხადა.

უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის სურს, რომ ევროპის 16 ქვეყნის თასის გამარჯვებულმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში ითამაშოს. მაგალითად, ინგლისიდან ლიგაში ოთხი კი არა, სამი გუნდი გავა და მეოთხე ასოციაციის თასის გამარჯვებული იქნება.

„ჩვენ ამ იდეას არ მივესალმებით. არ გვესმის, რატომ უნდა ითამაშოს ლიგაში თასის მომგებმა — თქვა კურტმა — უმაღლესი დონის შეჯიბრია და მის ხარისხს გაფრთხილება სჭირდება.“

უეფას პრესმდივანმა პასუხად ბრძანა: „ჩვენ ვითვალისწინებთ სხვა აზრს. ამ შემთხვევაში დაველოდებით, რა ალტერნატივას შემოგვთავაზებს G14, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ იდეას ძალიან ბევრი კლუბი მიემხრობა.“

მიშელ პლატინის გეგმა კი ასეთია: „ევროპის 16 (ჯერ უცნობია, რომელი) ქვეყნის თასების მფლობელები ცალკე ითამაშებენ საკვალიფიკაციოში და ოთხი გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება. ეს საკითხი ერთი თვის წინ განიხილეს უეფაში, მაგრამ ევროპის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ (EPFL) დაიწუნა.

EPFL-ში შედიან პრემიერლიგა, სერია A, პრიმერადივიზიონი და მათი აზრიც ანგარიშგასაწევია. მიშელ პლატინიმ ოპოზიციონერებს ოქტომბრის ბოლომდე მისცა ვადა, რათა უეფას ალტერნატიული ვარიანტები მიაწოდონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | ბოლტონი |
| ჩელსი | : | ბლექბერნი |
| ევერტონი | : | მანჩესტერი |
| პორტსმუთი | : | ლივერპული |
| სანდერლენდი | : | რედინგი |
| ტოტენჰემი | : | არსენალი |
| ვესტ ჰემი | : | მიდლსბრო |
| უიგანი | : | ფულემი |
| **ხვალ** | | |
| სიტი | : | ასტონ ვილა |
| **ზეგ** | | |
| დერბი | : | ნიუკასლი |

# ინგლისი
## ვინ შეადგინა კალენდარი?
## საათები სალიდეროდ

**„ლივერპულის“** მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი პრემიერლიგის კალენდრით კმაყოფილია. სანაკრებო მატჩების შემდეგ კლუბში დაბრუნებული ფეხბურთელების მოსამზადებლად მხოლოდ ერთი დღე აქვთ და ესპანელიც ამან გააბრაზა: „შაბათს შუადღით რომ დაგვინიშნეს თამაში, გუნდს დასვენება და ვარჯიში არ უნდა?! ზოგი ფეხბურთელი ხუთშაბათს გვიან მოვიდა, ცოტა ირბინეს და სახლში გავუშვი. პარასკევს დილით მსუბუქად ვივარჯიშეთ და პორტსმუთში წავედით. ასეთ პირობებში მუშაობა ძალიან ძნელია“.

ორი კვირის წინ „ლივერპულმა“ „დერბის“ 6:0 მოუგო და ბოლო ორ სეზონში პირველად ცხრილის სათავეში მოექცა. ესპანელმა ფორვარდმა ფერნანდო ტორესმა ოთხ მატჩში სამი გაიტანა და ამბობს, რომ პრემიერლიგაში თამაში მოსწონს: „ესპანეთში, „ატლეტიკოში“, მოედნის ცენტრში ხშირად მიწევდა ტრიალი ბურთის მოსაპოვებლად. აქ კი ისეთი ბიჭები არიან ნახევარდაცვაში, რომ შეტევისთვის მეტი დრო მაქვს და ალბათ ამიტომაც გავიტანე სამი გოლი.“

„ლივერპული“ პორტსმუთში ბოლო ხუთი სტუმრობიდან სამჯერ დამარცხდა. რაფაელ ბენიტესის ყოფილი შეგირდი, ახლა კი „პორტსმუთის“ მცველი ჯიმი ტრაორე იმედოვნებს, რომ მეტოქე დაღლილი იქნება: „თვითონ გამომიცდია და ვიცი, რომ სამხრეთში მგზავრობა დამქანცველია. შარშან „ლივერპული“ დავამარცხეთ და ამჯერადაც მოგებას ვაპირებთ“.

პორტელებს გამოუკეთდათ მცველი სოლ კემპბელი, „ლივერპულს“ კი — ჯეიმი კარაგერი.

მერვე ადგილზე მყოფ „მანჩესტერს“ „ევერტონიდან“ სასჯელმოხდილი კრიშტიანუ რონალდო დაუბრუნდება. უეინ რუნი დაგვიანებით ადრე გამოკეთდა და ორშაბათიდან ვარჯიშობდა, მაგრამ შეიძლება, ძირითად შემადგენლობაში არ იყოს. რუნიმ ბოლო ორი სტუმრობისას თავის ყოფილ გუნდ „ევერტონს“ ორჯერ გაუტანა. შესაძლოა, მასპინძლებს ამერიკელი მეკარე ტიმ ჰოვარდი დააკლდეთ, რომელმაც სანაკრებო მატჩში თითი იტკინა. ამ თამაშის მომგები ცოტა ხნით პირველ ადგილზე გადავა, რადგან ყველაზე ადრე იწყებს. „მანჩესტერის“ დამარცხება თუ გინდა, სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი უნდა ითამაშო და ჩვენ საამისოდ მზად ვართ“ — თქვა მასპინძელთა ნახევარმცველმა მიკელ არტეტამ.

„ასტონ ვილასთან“ დამარცხებული „ჩელსი“ „ბლექბერნს“ უმასპინძლებს, რომელიც ჯერ წაუგებელია. ჩელსელთა ფორვარდი დიდიე დროგბა ორი კვირის წინ დაშავდა და კვლავ მკურნალობს. ამიტომ მისი თამაში დღეს საეჭვოა. ტრავმირებულნი არიან მიხაელ ბალაკი, უეინ ბრიჯი და ფრენკ ლამპარდიც, „ბლექბერნის“ ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი კი ჯანზეა.

„დიდი გუნდები მარცხის შემდეგ მალე მოდიან გონს, მაგრამ ვინ იცის, „ასტონ ვილასთან“ წაგებამ ეგებ გვარიანად შეარყია „ჩელსი“ და დაღმასვლა დაეწყოს. ამიტომ ჩვენც მოგების იმედი გვაქვს“ — თქვა „ბლექბერნის“ მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა.

ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემი“ და „არსენალი“ დაეჯახებიან. რვა წელიწადია, „მამლებს“ „მეთოფეები“ არ დაუმარცხებიათ და დღეს მორიგი მცდელობა ექნება. „ტოტენჰემმა“ სეზონი იმ იმედით დაიწყო, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებდა, მაგრამ ოთხი მატჩიდან სამი წააგო და მარტინ იოლი კინაღამ მოხსნეს. ეს თამაშიც თუ ვერ მოიგო, ინგლისური მედიის ცნობით, შესაძლოა, კიდეც გაათავისუფლონ.

„არსენალს“ ტრავმირებული ჰყავს უილიამ გალასი და ემანუელ ებუე, ხოლო ფილიპ სენდეროსი დისკვალიფიცირებულია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლივერპული | | | | 1:1 | | | | | | | | | | | | | | | | 6:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:2 | 10 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| 2 | არსენალი | | | | | 1:0 | | | | | | | | 3:1 | | 2:1 | | | | | | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 3 | ევერტონი | | | | | | | 1:1 | | 2:1 | | | | | | | | | | | | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| 4 | ჩელსი | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | 3:2 | | | | | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 10 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| 5 | სიტი | | | | | | | | 1:0 | | | | | | | | | | | | 1:0 | 5 | 3 | 0 | 2 | 4:2 | 9 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| 6 | ნიუკასლი | | | | | | | | | 1:0 | | 0:0 | | | | | | | | | | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| 7 | ბლექბერნი | | 1:1 | | | 1:0 | | | | | | | | | | | | | | | | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 8 | მანჩესტერი | | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | 1:0 | 0:0 | | | 5 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 8 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 9 | უიგანი | | | | | | | | | | | | 1:0 | | | | | 3:0 | | | | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 10 | ვესტ ჰემი | | | | | 0:2 | | | | 1:1 | | | | | | | | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| 11 | ასტონ ვილა | 1:2 | | | 2:0 | | | | | | | | | | | 2:1 | | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 12 | მიდლსბრო | | | | | | 2:2 | 1:2 | | | | | | | | | 2:0 | | | | | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 13 | პორტსმუთი | | | | | | | | 1:1 | | | | | | | | | | | 3:1 | | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| 14 | ტოტენჰემი | | | 1:3 | | | | | | | | | | | | | | | | | 4:0 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:8 | 4 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| 15 | ფულემი | | | | | | | | | | | | 1:2 | | 3:3 | | | | | 2:1 | | 5 | 1 | 1 | 3 | 8:10 | 4 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| 16 | ბირმინგემი | | | | | | | | | | 0:1 | | | | | | | 2:2 | | | | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| 17 | სანდერლენდი | 0:2 | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | | | | | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| 18 | რედინგი | | | 1:0 | 1:2 | | | | | | 0:3 | | | | | | | | | | | 5 | 1 | 1 | 3 | 2:8 | 4 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| 19 | ბოლტონი | | | 1:2 | | | 1:3 | | | | | | | | | | | | 3:0 | | | 5 | 1 | 0 | 4 | 7:10 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| 20 | დერბი | | | | | | | | | | | | | 2:2 | | | 1:2 | | | | | 5 | 0 | 1 | 4 | 3:15 | 1 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 | 0 | 0 | 3 | 0:11 | 0 |

# ოცნების მუზეუმი
## დრენტე უკვე შინაურია

ჰოლანდიელი დრენტე უკვე მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელია, თუმცა „ფეიენოორდის“ ყოფილი მოთამაშე ცდილობს, ახალი კლუბი უფრო საფუძვლიანად გაიცნოს — მან „სანტიაგო ბერნაბეუს“ მუზეუმი მოინახულა: „ამ გუნდის გრანდიოზულობა ძალიან შთამბეჭდავია“ — განაცხადა დრენტემ „ასთან“ ინტერვიუში


AFP

— „ბერნაბეუს“ მუზეუმში პირველად იყავით? რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— დიახ, პირველად ვარ და მინდა, გითხრათ, რომ ამ გუნდის გრანდიოზულობა ძალიან შთამბეჭდავია. „ბერნაბეუზე“ უკვე ვითამაშე, მაგრამ დღემდე დრო არ მქონდა, მუზეუმი მომენახულებინა. დაუჯერებლად საინტერესო რამეები ვნახე და გავიგე, როგორც ფეხბურთის, ასევე კალათბურთის შესახებ. სიტყვები არ მყოფნის „რეალის“ სიდიდის გადმოსაცემად.

— „რეალის“ შესახებ ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ?

— გულშემატკივრებმა. მადრიდში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ადაპტაციის პერიოდმაც მალე გაიარა. მსოფლიოს მასშტაბით, „რეალში“ ძალიან ცოტა ფეხბურთელს თუ უთამაშია. ამ მაისურას დიდი მობურთალები — ზიდანი, ალფრედო დი სტეფანო და ხენტო ატარებდნენ, რომლებიც ჩემთვის მუდამ ლეგენდებად დარჩებიან. პატარაობიდანვე „რეალში“ მოხვედრაზე ვოცნებობდი. ეს ყველაზე დიდი პატივისცემაა.

— მადრიდში გადმოსვლის და მშობლიური როტერდამის დატოვების შემდეგ თქვენი ცხოვრების სტილი ძალიან შეიცვალა?

— აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც „რეალში“ ჩემს გადმოსვლაში მიიღო მონაწილეობა. ადრე მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ვარსკვლავების მხარდამხარ სათამაშოდ მივდიოდი, ახლა კი, მათი აზრით, მეც ერთ-ერთი ვარსკვლავი ვარ. მე კი ვთვლი, რომ ჯერჯერობით ისევ „ნორმალურ“ ფეხბურთელად ვრჩები...

— თქვენი თანაგუნდელებიდან ყველაზე მეტად რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით?

— რაულს, რადგანაც მან „რეალში“ ყველაფერი მოიგო. რაული სხვა მოთამაშეებისთვის სამაგალითო პიროვნებაა.

— მუზეუმში „რეალის“ მიერ მოგებული ჩემპიონთა თასების კოლექციას გაოცებული შესცქეროდით. ფიქრობთ, რომ თქვენი გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე გამარჯვებას მოახერხებს?

— ნეტავ ასე მოხდეს. 2002 წლის ფინალში ზიდანის გოლის ფოტო ვნახე და ძალიან მომეწონა. ლიგის ფინალებში გატანილთაგან ეს ყველაზე ლამაზი გოლია. მინდა, ასეთი რამ „რეალის“ ფანებმა კიდევ მრავალჯერ ნახონ. წესით, ჩემპიონთა ლიგის მოგება საოცარი გრძნობა უნდა იყოს, რასაც ალბათ მეც გამოვცდი.


ფერნანდო ტორესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოელთა ატლეტიკო

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ შემადგენლობის მიხედვით ვერაფრით ვიტყვით, რომ ეს გუნდი ესპანეთის სატახტო ქალაქს ეკუთვნის. ალმოჩნდა, რომ, კლუბის მრავალწლიანი არსებობის ისტორიაში პირველად, „ვისენტე კალდერონზე“ არც ერთი წარმოშობით მადრიდელი მოთამაშე არ არის...

ზაფხულში გუნდი კაპიტანმა ფერნანდო ტორესმა დატოვა და „ლივერპულში“ გადავიდა. რა თქმა უნდა, მაშინ ესპანეთში თქვეს, რომ „ატლეტიკომ“ თავისი სიმბოლო გაასხვისა, თუმცა, როგორც ირკვევა, „თეთრ-ალისფერებს“ მარტო სიმბოლო კი არა, მადრიდელობაც დაუკარგავთ — „ელ ნინიო“ წავიდა, მერე მადრიდელმა გაბიმაც დატოვა იქაურობა, ხოლო მარიო სუარესი და ვარა „სელტაში“ გაასხვისეს. ასე რომ, მარტო სახელი დარჩა მადრიდული.

კლუბის არსებობის ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში მსგავსი რამ არ მომხდარა. მართალია, „ატლეტიკოში“ მადრიდელი ფეხბურთელები არც შორეულ 1935-36 წლების პრიმერადივიზიონში ჰყოლიათ, მაგრამ მაშინ სათასო მატჩში მაინც ითამაშა მავანმა ნიკომ, წარმოშობით სატახტოქალაქელმა.

წლეულს კი...

„ატლეტიკოს“ ისტორიაში ყოველთვის იყვნენ მადრიდელი ვარსკვლავები, რომელთაც ლიდერის ფუნქცია ეკისრებოდათ.

ამ სეზონში კლუბმა ეს ტრადიცია დაივიწყა, განსხვავებით „რეალისგან“ — „ათლეტთა“ მოსისხლე მტერმაც წლეულს ბევრი უცხოელი ფეხბურთელი შეიძინა, მაგრამ ძველი მადრიდელები, რაული, გუტი, კასილიასი და ტორესი არ გაუშვია.

**ლადო ხომერიკი**

| V ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| დორტმუნდი | : | ვერდერი |
| *იხ. მე-2 გვერდზე და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა* | | |
| **დღეს** | | |
| შტუტგარტი | : | კოტბუსი |
| ბაიერნი | : | შალკე |
| ლევერკუზენი | : | ბოხუმი |
| ნიურნბერგი | : | ჰანოვერი |
| არმინია | : | ჰანზა |
| აინტრახტი | : | ჰამბურგი |
| **ხვალ** | | |
| ვოლფსბურგი | : | კარლსრუე |
| დუისბურგი | : | ჰერტა |

# გერმანია
## დედამ ფრე დაგვაბარა

**„ბაიერნი“** და „შალკე“ — ამ სეზონში დაუმარცხებელი ორი გუნდი — დღეს ერთმანეთს მიუნხენში ხვდებიან.

მასპინძლებს დაუბრუნდათ ტრავმამოშუშებული ლუკა ტონი, რომელმაც სანაკრებო მატჩებში ვერ ითამაშა, მაგრამ ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, 70 პროცენტით მზად არისო. გამოკეთდა ლუკაშ პოდოლსკიც და რუმინეთთან ამხანაგურ მატჩში გოლიც გაიტანა. სავარაუდოდ, ორივე ფორვარდი სათადარიგოებში იქნება, ძირითადში კი მიროსლავ კლოზეს დააყენებენ, ვინც უელსთან დუბლი შეასრულა. ბრაზილიელ მცველ ლუსიოს დაასვენებენ, რადგან ამერიკაში იყო და ორმა ამხანაგურმა მატჩმა და ოკეანის თავზე ფრენამ დაღალა.

ეს იქნება „ბაიერნისა“ და „შალკეს“ 75-ე შეხვედრა ბუნდესლიგაში. 16-ჯერ გელზენკირხენელებმა მოიგეს, 35-ჯერ — მიუნხენელებმა, 23 კი ფრედ დასრულდა. „ბაიერნის“ ახალ სტადიონზე, „ალიანს არენაზე“ მირკო სლომკას (ორშაბათს 40 წლისა შესრულდა) გუნდმა ორჯერ ითამაშა და ორჯერვე ისე წააგო, გოლი არ გაუტანია.

„ხუმარებს“ დღეს ჯარიმების შემსრულებელი კრისტიან პანდერი დააკლდებათ. ბრაზილიელი მცველი მარსელო ბორდონი კი გამოჯანმრთელდა.

კევინ კურანი ამბობს, რომ ოთხ ტურში ექვსი ქულის ამღები „შალკე“ წნეხის ქვეშაა და ეს „ბაიერნთან“ მატჩის წინ უფრო იგრძნობა.

ჩემპიონობის მსურველ გუნდებს შორის სხვაობა ოთხი ქულაა და „ხუმარების“ წაგების შემთხვევაში შვიდამდე გაიზრდება.

„პრესინგს თუ მოვახერხებთ და სწრაფად ვითამაშებთ, მოგების მეტი შანსი გვექნება — თქვა კურანიმ — რადგან მეტოქე ძალიან ძლიერია და მხოლოდ ასეთი ტაქტიკით ვაიძულებთ შეცდომას. უნდა დავამტკიცოთ, რომ ბრძოლისუნარიანები ვართ“.

ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან ტყუპები — ჰამიტ და ჰალილ ალტინტოპები. ეს იქნება მათთვის მერვე ძმური შეხვედრა და ჯერჯერობით ჰამიტი 6:1-ს იგებს. მათ ერთად გაატარეს თხუთმეტი წელი „შვარცვაიზში“, „როტჰაუზენსა“ და „ვატენშაიდში“, მერე კი გზები გაიყარა. ჰალილი „კაიზერსლაუტერში“ აღმოჩნდა, ჰამიტი — „შალკეში“. მერე ჰალილიც „შალკემ“ წაიყვანა და ამ ზაფხულს ისევ გაიყარნენ.

„ფეხბურთსა და ცხოვრებაზე ტელეფონით ყოველდღე ვსაუბრობთ, მაგრამ პროფესიონალები ვართ — თქვა ჰალილმა. ჩვენი ოჯახის წევრები არც „შალკეს“ ქომაგები არიან და არც „ბაიერნისა“. ისინი ფრეს და ჩვენს გოლებს გულშემატკივრობენ, თუმც ბოლო ხანს ვამჩნევ, რომ „ბაიერნისკენ“ იხრებიან. დედას უნდა, ორივემ გავიტანოთ და თამაში ფრედ დასრულდეს“.

„ბაიერნის“ ნახევარმცველი ჰამიტ ალტინტოპი კი ამბობს: „შალკემ“ შარშან ვერ მოიგო ბუნდესლიგა, როცა „ბაიერნი“ სუსტი იყო და არა მგონია, ამ სეზონში რამეს მიაღწიოს.“

ჩემპიონი „შტუტგარტი“ მეთხუთმეტე ადგილზეა და ქვედა მეზობელ „კოტბუსს“ უმასპინძლებს, რომელსაც ჯერ თამაში არ მოუგია. სეზონის ცუდი დასაწყისით „შტუტგარტის“ მწვრთნელი არმინ ფეე უკმაყოფილოა, მაგრამ დროს ითხოვს: „მაგიდაზე მუშტის დარტყმით ვერაფერს შევცვლი. ეს სისულელე იქნება. გუნდი ახალგაზრდაა და გზადაგზა სწავლობს სირთულეების დაძლევას.“

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | | | | | | | | | | | 3:0 | | | | | | 3:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:1 | 10 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| 2 | ბოხუმი | | | | | 2:1 | 2:2 | | | | | | | | | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 8:7 | 7 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| 3 | არმინია | | | | 2:2 | | | | | 2:0 | | | | | | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| 4 | აინტრახტი | | | | | | | | | 1:0 | | | | | | | | | 1:0 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| 5 | ჰამბურგი | 1:1 | | | | | | | | | | | | 1:0 | | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 6 | ვერდერი | 0:4 | | | 2:1 | | | | | | | | | | | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 5:7 | 7 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
